საქართველოს მთავრობის განკარგულება

№670 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზამ“, სს „საქართველოს რკინიგზის“ სატენდერო მოთხოვნებსა (გარდა ინდივიდუალური სანაგვე ურნებისა, შშმ პირებისათვის დაბალი ბაქნიდან მატარებელში ასასვლელი კონსტრუქციისა, ბიზნესკლასისათვის დამატებით ინდივიდუალური მონიტორებისა და კორექტირებული მარაგ ნაწილებისა/დეპოს აღჭურვილობისა) და „Stadler Bussnang AG“-ის მიერ წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციას შორის DB International-ის მიერ ტექნიკური შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით, განახორციელოს 4 ერთეული ელექტრომატარებლის სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის დაფინანსების წყაროდ სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ, საჭიროების განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს სესხი შემდეგი ძირითადი პირობების გათვალისწინებით:

ა) სესხის ოდენობა - ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საქონლის ღირებულების არა უმეტეს 85 %-ისა;

ბ) სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - არა უმეტეს 6 %-ისა;

გ) სესხის ვადა - არანაკლებ 10 (ათი) წელი;

დ) სესხის უზრუნველყოფა დასაშვებია სს „საქართველოს რკინიგზისათვის“, ამგვარი საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის, შესყიდულ საქონელზე გირავნობის უფლების გამოყენებით).

3. „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაევალოს სს „საპარტნიორო ფონდს“, უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელება, „Stadler Bussnang AG“-სთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გზით, 45 188 920 აშშ დოლარის ფარგლებში (დღგ-ის გარეშე).

პრემიერ-მინისტრი — გიორგი კვირიკაშვილი